№ 119 5 მაისრგობისთვე, პარასკევი 1876—1876 5 მაისრგობისთვე, პარასკევი № 119

რედაქცია
ველიამინოვის ქუჩაზე, პატარა ჩაიგეშტოვის სახლებში.

ხელის-მოწერა
რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ძალიან გთხოვენ მცხოვრებთათვის: Въ Тифлисѣ. Въ редакцію газеты „Дроэба“.

გაზეთის ფასი
წელიწადში—8 მან., ნახევარ წელიწადი—4 მან. და 50 კაპ., თვეში—1 მან.
ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# დროება

გამოდის ქვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით

განცხადება
მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანგიულს ენებზე.

განცხადების ფასი
დიდი ასოებით, ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე—8 კაპ., ციცერონთი, სტრიქ.—5 კაპ. და პეტიტით—4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„დროების“ რედაქცია სთხოვს თავის აგენტებს და ხელის-მომწერლებს, რომ, რადგან ეს წელიწადი თავდება და მალე ახალი, მომავალი წლის ხელის-მოწერა უნდა გაიმართოს, ამის გამო წლევანდელი გაზეთის ფული, ვისაც არ გამოუგზავნია, რაც შეიძლება მალე გამოგზავნოს.

ორი თვის ხელის-მოწერა
„დროებაზე“
მიიღება თფილისში—გაზეთის რედაქციაში (ველიამინოვის ქუჩაზე, ჩაიგეშტოვის სახლებში, № 6); გარეშე ქალაქებში—„დროების“ აგენტებთან.

ფასი ორი თვის გაზეთისა ე. ი. 1 ნოემბრიდამ მომავალი წლის 1 იანვრამდინ—2 მანეთი. მთელი წლის სრული ნომრები მხოლოთ რამდენიმე დარჩენილი,—ღირს—8 მან., ნახევარის წლის—4 მან. და 50 კაპ., ერთის თვისა—1 მან.

## საქართველო

### დღიური

ბუშინწინ და გუშინ ჩვენი ქალაქის ზოგიერთს ქუჩებში უჩვეულებრივი მოძრაობა და ჩოჩქოლი იყო ხალხისა. განსაკუთრებით დიდ პოლიციასთან დიდ-ძალი ხალხი, ბევრი რუსის დედა-კაცები და მუდამ ამ გვარ შემთხვევებში დამსწრე კინტოები და უსაქმო ხალხი მოგროვილიყო და პოლიციის კარებთან შეჯგუფულიყვნენ.

აქის მიზეზი ის იყო, რომ ამ დღეს პოლიციის საშუალებით სამხედრო მთავრობამ გამოიყვანა ქალაქში მყოფი დროებით დათხოვნილი სალდათები, რომელნიც პოლიციაში უნდა გამოცხადებულიყვნენ სიაში ჩასაწერად. სოლ-შვილი და ნათესავები ეთხოვებოდნენ ამათა, ბევრი ცხარე ცრემლი დაიღვარა.

ამბობენ, მარტო ქალაქში დროებით დათხოვნილი სალდათების რიცხვი 2,000 კაცი შესდგა.

*
* *

მომავალ წელს კავკასიის გზების სამმართველოსათვის და თვით გზების გასაკეთებელ ხარჯად დანიშნულია 1,195,401 მან. ამ ფულში ფოთის პორტის გასაშენებელი ხარჯიც ითვლება.

*
* *

ქახეთიდამ გვწერენ, რომ ახაშენისა, ჩუმლაყის და ბურჯაანის ბოლოებზედ მყოფი თათრებისაგან ძლიან შეიწროებულნი ვართო. „მოდიან სოფლებში, ოჯახის-შვილებს უმეგობრდებიან, შემდგომ დაიწყობენ ქურდობას და მთხრობლათაც თვითონ მოდიან; თითო სულს საქონელზედ თუმანი გადაჭრილი აქვთ; რამდენ სულსაც მოიპარავენ, იმდენი თუმანი ჯიბეში აქვთ. რამდენჯერ ვიჩიველეთ აქაური უეზდის უფროსთან, მაგრამ ჯერ-ჯერობით ამ თათრებისაგან შველას ვერა ვხედავთ.“

*
* *

სოფ. ველის-ციხიდამ (ქახეთიდამ) გვატყობინებენ, რომ გასული თვის 27-ს ერთს იქაურს გლეხს, გვარად თაზიაშვილს, ცეცხლი გაჩენია და თითქის დედიან-ბუდიანად სულ გადამწვარა. ხალხი ძალიან დაფიცურებულა, რომ ეშველათ რამე, მაგრამ ვერა მოუხერხებიათ-რა, და ვერ მოუხერხებიათ (ხვათა შორის იმიტომ, რომ ამ სოფელში წყალი არ მოიძევაო. საზოგადოთ უწყლობა გვაწუხებს და კაცი არ არის, რომ ეს საქმე ითავოს, თუმცა წყლის გამოყვანა ძნელი არ არის.“

ველის-ციხის სოფლის საზოგადოებას გადაუწყვეტია, რომ ხსენებულ გადამწვარ გლეხს ცეცხლის ზიანი უზღონ.

### „დროების“ კორრესპონდენცია

ხიდისთავი, 27 ოქტომბერს. 1873 წელს იყო მამულების შემოფარგვლა ჩვენს სოფელში. სოფლის ხალხი დიდის სიხარულით მოელოდა სიმართლით მამულების შემოფარგლის გათავებასა.

მამულების შემოფარგელას მოჰყვა კამერალიის აღწერა; ბორის უეზდის უფროსის თანაშემწემ დაიბარა გლეხები და გამოუცხადა მათ შემდეგი: „ხალხი უნდა აიწეროს სამ გვარათ: საკუთრებაზე მცხოვრებელნი ცალკე, სახელმწიფო მამულზე მცხოვრებნი გლეხნი ცალკე და საბატონონი, ანუ დროებით-ვალდებულნი გლეხნი ცალკე. ამისათვის თქვენ უნდა ამოირჩიოთ რამდენიმე კეთილ-სვინიდისიანნი კაცნი, რომელთაც სიმართლით უნდა მაჩვენონ, თუ ვინ საკუთრებაზე სცხოვრებს, ვინ სახელმწიფოზედ და ვინ საბატონოზედ“.

აღმოარჩია სოფლის საზოგადოებამ რამდენიმე კაცი, რომელთ ჩვენებითაც სახელმწიფო მამულზე მცხოვრებნი გლეხნი აღმოჩნდნენ ასცხრამეტი კომლი, სახელმწიფონი საკუთრებაზე მცხოვრებნი ორმოც-დაორი და დროებით ვალდებულნი ოც და ხუთი კომლი, სულ 186 კომლი.

მაგრამ ვერც ამ აღწერის გამო დაარსდა ჩვენში კანონიერი საკომლო ხარჯის გაწერა;—უფროსი აირიენენ და არ იციან თუ ვის როგორ დააწერონ გაწერის დროს ხარჯი. აქამდინ კიდევ შეძლების დაგვარ აწერებოდა, მაგრამ წელს სულ გადაირია.

მიზეზი ამ წრეევანდელი ხარჯის გაწერის გადარევისა არის შემდეგი: ჩვენმა სოფლის მწერალმა უ. დ. ჯ. რომელიც, გამოჯვნის დროს აქაურის მამულებისა, დასდევდა ზემლემერსა, ამ ზამთარ თურმე უთხრა რამდენსამე კომლსა, (რომელთაც ზოგს ორი დღისა აქვთ დაყოლნილი, ზოგს მეტი და ზოგს ნაკლები, მაგრამ სახელმწიფო მამულებიც კი უჭრავთ): „თქვენ წარმომიდგინეთ დაყოლნილი მამულების კოპიოები (პირები) და მე შემიძლიან, თუმცა სახელმწიფო მამულზედ სწერიხართ, საკუთრებაზედ გამოგიყვანოთ, მაგრამ იმ პირობით, რომ თვითეულ კომლზე მოგვცეთ ექვსი მანეთი და ათი შაური, რომელიც უნდა იყოს იმის შრომის ფასი საკუთრივ; აგრეთვე ის ფული, რომელიც წარსული წლისა შეიტანეთ ხაზინაში, რაც იქიდგან დაგიბრუნდეთ, ისიც ჩვენი ორიევესი უნდა იყოს შრომის ფასი“.

ამაზედ სურვილი გამოაცხადეს ოც-და ცხრამეტმა კომლმა, რომელთაც ეგონათ, რომ სამუდამოთ მოაკლდებოდათ თვითეულ კომლს წელიწადში ხუთი მანეთი და თხუთმეტი შაური. მწერალი უფ. დ. ჯ. როგორც დაჰპირდა, ისე აღუსრულა და დღეს სოფლის კანცელარიაში არის სახელმწიფო პალატიდგან მოწერილობა, რომ ოც-და-ცხრამეტი კომლი შერიცხულია საკუთრებაზედ. ამ ოც-და-ცხრამეტი კომლიდგან უფ. დ. ჯ. აიღო ფული სულ ოც-და-ხუთი თუმანი, სამი მანეთი და ათი შაური. ხაზინიდგან დაბრუნებული ფული შარშანდელი წლისა უნდა აიღოს კიდევ ოც-და-ორი თუმანი, ოთხი მანეთი და ათი შაური; სულ ორმოც-და-შვიდი თუმანი და რვა მანეთი. ამ სახით, რასაკვირველია, წელს მოაკლდათ საკომლო ფული კომლზე ხუთი მანეთი და თხუთმეტი შაური, ე. ი. ოც-და-ცხრამეტი კომლისა—ოც-და-ორი თუმანი, ოთხი მანეთი და ხუთი შაური.

აი ეს ფული მოაკლდა წელსა ამ ოც-და ცხრამეტ კომლსა. მს, რასაკვირველია, სოფლისთვის სასარგებლოა; მაგრამ მაგარი ეს არის, რომ წელს ხარჯის გაწერის დროს საკუთრებაზედ გამოსულებმა ცალკე გაიწიეს ხარჯის გასაწერათ. ამისათვის სახელმწიფო ხალხში და საკუთრებაზე მცხოვრებ ხალხში რამდენჯერმე მოხდა დიდი ჩხუბი და ეაი-ვაგლახი სასოფლო კანცელერიაში.

ამ საქმის დასაბოლოებლათ აღმოირჩივეს ორსაეე მხრიდგან რამდენიმე პირნი; სახელმწიფოს მხრივე აღმორჩეულმა პირებმა წარმოსთქვეს შემდეგი აზრი; „თუმცა მართალია საკუთრებაზედ გამოხვედით, მაგრამ თქვენ თითონ ხომ დარწმუნებულები ხართ იმაზე, რომ ზოგიერთს თქვენგანს უფრო ბევრი სახელმწიფო მამულები უჭირავთ, სინამ ჩვენ სახელმწიფო მამულზედ დაწერილსა! ამისათვის ჩვენა გთხოვთ, რომ ისევ ძმურათ გაიწეროს ხარჯი, შეძლებისდა-გვარ, როგორც აქამდინ გვიწერია და თუ ასე არა გნებავთ, თქვენ საკუთრებაზედ იცხოვრეთ და სახელმწიფო მამულები ჩვენ სახელმწიფო ხალხს დაგვითმეთ; მხოლოთ მაშინ შეიძლება შევიტანოთ ხოლმე ცალ-ცალკე ხარჯი ხაზინაში; ან კიდევ ვსთქვათ, მითომ ყველანი საკუთრებაზედა ვცხოვრობთ და ყველას შეიდ-შვიდი მანეთი გვიწერია; ეს შეიდ-შვიდი მანეთი გავწეროთ შეძლების და-გვარათ, როგორც აქამდისინ გვიწერნია, და მერე ხუთი მანეთი და თხუთმეტი შაური სახელმწიფო მამულზედ დადებული ხარჯი გაიწეროს ისე, ვისაც როგორ მამულები გვეჭიროს სახელმწიფო!“ ეს იყო სახელმწიფო აღმორჩეული კაცების აზრი. საკუთრების მხრივე აღმორჩეულნი პირნი იმ ღამეს არ დათანხმდნენ; მხოლოთ მეორე დღეს გამოაცხადეს სურვილი თანხმობისა და გასწერეს ხარჯი მითომ შეძლებისდა-გვარ; მაგრამ სრულებითაც არა! საკუთრებაზე მცხოვრებლებმა ისე წაიყვანეს, საქმე როგორც უნდოდათ და ამის გამო ბევრი ღარიბი ხალხი დაილუპა წელსა, რადგანაც ბევრი დააწერეს.

მოვიყვან რა ამას ცნობად თქვენამდი, უფ. რედაქტორო, უმორჩილესათა გთხოვთ თქვენს პატივცემულს გაზეთში დაბეჭდოთ და ეგები ამით ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ ჩვენ სოფელს, რომ ამ გვარი უწესური ხარჯის გაწერა შემდეგისთვისაც არის მოისპოს.

ხიდისთაველი

# უცხო ქვეყნები

**ოსმის ამბავი.** ახლა გადაწყვეტილია, რომ კონფერენცია ევროპის უმთავრეს სახელმწიფოთა წარმომადგენლებისა, სლავიანებისა და ოსმალეთის მორიგების თაობაზე, სტამბოლში იქნება.

მორიგების პირობები ამ თავითვე ინგლისის მმართებლობისაგან იქნება კონფერენციაზე წარდგენილიო და ამ პირობებზე ექმნებათ სჯა და მოლაპარაკებაო.

— არზრუმთან და შუმლასთან, როგორც უცხო ქვეყნის გაზეთები გვაცნობებენ, ამ ჟამად ოსმალოები დიდ-ძალ ჯარს აგროვებენ.

—

**გერმანია.** 25 ოქტომბერს (6 ნოემბ.) გერმანიის პარლამენტში უცხო ქვეყნების მინისტრს ფონ-ბიულოს უთქვამს შემდეგი სიტყვა, როდესაც აღმოსავლეთის კითხვაზე ჩამოვარდნილა ლაპარაკი: „თქვენ იცით, რომ გერმანიის მმართებლობა ყოველთვის მომხრე იყო მშვიდობიანობისა; არასოდეს არ მოუსურვებია იმას ევროპაში ომიანობისა და შფოთის ატეხა. ამავე პოლიტიკით იხელმძღვანელებს ის ახლაც, ამ სლავიანებსა და ოსმალეთს შუა შეტაკების დროსაც. გერმანიის მმართებლობას არავითარი ინტერესი არა აქვს, რომ ვინიცობაა, ბრძოლა მოხდეს რუსეთსა და ოსმალოს შუა, გაერიოს, მონაწილეობა მიიღოს ამ ბრძოლაში. მაგრამ ჩვენ იმედი გვაქვს, რომ, ამ დროებით მორიგების განმავალობაში, ევროპის უმთავრესი სახელმწიფონი იმდენ მშვიდობიანობის მოყვარეობას და მოახერხებას გამოიჩენენ, რომ საბოლოოთ მორიგებას მოახდენენ და ამ ნაირად ევროპა შფოთს ასცილდება.“

—

**საფრანგეთი.** თითქმის ამგვარივე სიტყვა წარმოსთქვა ნაციონალურ კრების გახსნის პირველსავე დღეს საფრანგეთის უცხო ქვეყნების საქმეთა მინისტრმა გერცოგ დეკაზმა: „არასოდეს არ გვჭირებია ჩვენ ისე მშვიდობიანობა, არასოდეს არ გვჭირებია ჩვენ ისე შინაგან საქმეებზედ ზრუნვა, როგორც ახლაო, სთქვა გერცოგ დეკაზმა. იმ საგანში, რომელიც ახლა ევროპას აღელვებს, ჩვენ ძალიან ცოტა ინტერესი გვაქვს და ამის გამო, არათუ თვითონ ჩვენ არ გავერევით, რაც შეგვეძლება ეცდებით, რომ ეს შეტაკება უბრძოლოთ, მშვიდობიანად გათავდეს.“

—

**საბერძნეთი.** საბერძნეთის სამინისტროს თავს-მჯდომარეს ქუმუნდუროსს ამ თვის 1-ს უთქვამს პალატაში, სხვათა შორის, შემდეგი სიტყვა შესახებ აღმოსავლეთის კითხვისა: „თავისუფალ საბერძნეთს არ შეუძლიან გულ-გრილად უცქერის იმ ბერძნებთა წვალებას, რომელნიც დღემდე ოსმალოს სახელმწიფოს ექვემდებარებიან.“

—

**რუმინია.** ოხს ცეცხლს შუა არის რუმინია ამ ჟამად, არ იცის ვის მიემხროს: რუსეთს, თუ ევროპას. პოლიტიკურის მხრით, დასავლეთისა და რუსეთის განმავალობას, ორიეს თავისი თაყვანის-მცემლები ჰყავთ, როგორც რუმინიის ხალხში და მწერლობაში, აგრეთვე მმართებლობის მაღალ წრეებში. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ ნამდვილი პროგრამა მოქმედებისა არავის არა აქვს. უსიამოვნობა, ქაოსობა, ეჭვიანობა, მოჰყიდვა განუსაზღვრელია. ნამდვილს სურათს წარმოგვიდგენს ამ შემთხვევაში შინაგანი საქმეების მინისტრი თავის ცირკულიარში, რომელშიაც ის უცხადებს სამოსამართლო დაწესებულებს, რომ მოისპოს მწერლობის დევნა:

„უ. მთავარო პროკურორო! ის სასირცხვო და განზრახული კილო, რომლითაც სავსე არიან ლიტერატურის ბევრნი წარმომადგენელნი ორგანები მმართებლობის წინააღმდეგ; ის უსინდისოთ გარდასხვაფერება მმართებლობის ყველა იმ ზომებისა და განკარგულებისა იმ აზრით, რომ რამე ნაირათ შეარცხვინონ და შეარყიონ მმართებლობა ხალხის თვალში; ის მუდმივი ჭორიანობა რომელთამე საპატიო პირთ წინააღმდეგ და ცრუ ცნობები, ვითომ რომ-და შეეშინოთ ძძართებლობის ეხლანდელი დაწესებულება,—ყველა ეს იძულებულ ჰყოფდენ ბევრს მთავარ პროკურორთაგანს, მოქცეულიყვენენ ჩემთან კითხვით, თუ რაგვარ მოქმედებით გზაზე უნდა იდგეს პროკურატურა იმ შემთხვევაში, როცა მწერლები აგრე ბოროტად მოქმედებენ? არ უნდა მიეცენ ისინი სამართალში?

„მოსასპობლად ყველა ამ უთანხმოებისა, ვალდებულათ ვხდი ჩემს თავს გაცნობოთ, უ. მთავარ პროკურორო, მმართებლობის შეხედულება ამ საგანზე. თუმცა ჩვენი კანონების ძალით მწერლობის ცუდი მოქმედება განიკითხვება სამართლის წესით და არ არიან მოკლებულნი ამ სასჯელს, მაგრამ დღეს მმართებლობას არ ჰსურს იხმაროს ის წესები და ზომები; არ სურს ისარგებლოს იმ სტატიის ძალით, რომელიც ლაგმავს მათ ბოროტ-მოქმედებას. მმართებლობა დარწმუნებულია, რომ აღრიცხულნი ორგანები თავის ამგვარ ქცევით და ბოროტ-მოქმედებით თავის თავს უფრო მეტად ავნებენ, ვინემ სხვასა. უველს რიგიანს კაცს თვითონვე შეუძლია ასწონოს მათი სიმართლე და სიმტყუენე; ამისთვის მინისტრს სურს, რომ მწერლობას სრული თავისუფლება ჰქონდეს მინიჭებული.

„ამგვარ ქცევით ჩვენ იმედი გვაქვს, იძულებულ ვყოფთ მწერლობას შესდგეს თავის გარდახვეულ გზაზე და დაადგეს იმ სწორს გზას, რომელიც უფრო სარგებლობის მომტანი იქნება, როგორც საზოგადოთ საზოგადოებისთვის, აგრეთვე მის კერძო ინტერესებისთვის.

„შეიძველია, რომ თუ მწერლობა რაიმე ისეთს ენებას მიაყენებს კერძო პირს, რომ ეს იძულებულ იქმნება მოითხოვოს მისგან ზარალი, მაშინ სრული უფლება აქვს მიიქცეს საამართლისკენ. ამ შემთხვევაში სახელმწიფო ვალდებულია მოქცეს დამნაშავეს რიგისამებრ და არა გარდახდეს კანონს. თვინიერ ამ საქმეებისა, ვიძეორებ, მწერლობის დევნა იქნებოდა წინააღმდეგობა ახლანდელ მმართებლობის განზრახულებისა.

„მიზეზი, რომელმაც მაიძულა, უ. პროკურორო, მეთხოვნა თქვენთვის, მიმენიჭებოდა მწერლობას სრული თავისუფლება, მდგომარეობს იმაში, რომ იმ მართებლობათ, არ ეშინიანთ თავისუფლების ბოროტ-მოქმედებისა. ალბურველნი იმ რწმუნებით და სიკეთით, რომელნიც მმართებლობათ აქვთ სახეში მოუტანონ ხალხს, გულგრილად შესცქერიან ყველა უმართლოს განკიცხვას; ყურადღების არ მიმქცევნი ჭორიანობისა, მმართებლობანი მიელტვიან იმ გზას, რომელიც საშობლოს კეთილ-დღეობისაკენ მიდის.“

# საბაასო

## უფალს ა. ო—ს

—

კაცი ყველგან და ყოველ დროს იცნობა მხოლოდ საქმით და საქმით. არცერთ სულიერს არავითარი მჭვრეტყველობით, არავითარი ხელოვნებით და ხერხით არ შეუძლიან სამუდამოთ მიიზიდოს ვისიმე გული, თუ მასში სიტყვა ერთია, საქმე სხვა. საქმე არის იმისთანა რამ, რომელიც სრულებით დახშული გონებიანსაც კი ულეიძებს ამ უკანასკნელს და ნათლათ უჩვენებს მას ჭეშმარიტებას.

სწორეთ ამ გვარიეე საშუალებით ე. ი. საქმით, მე მსურდა დამემტკიცებინა, არა, დამემტკიცებინა კი არა, მსურდა მიმეცა პატარა შენიშვნა იმ სიტყვებზე, რომელნიც შეეხებოდნენ უ. სტრელეცკის. მე ვამბობდი, რომ თუ უ. სტრელეცკი წინააღმდეგია ქართულ ენაზე სწავლისა, რათა ის არ გეიშლის ამ ენაზე სწავლას, და ეს ცოტაა-მეთქი, რათა ის აგრე ხელს გვიმართავს-მეთქი ქართული წიგნების გამოგზავნითაო?

ამაზე თქვენ მეუბნებით, რომ „რამდენიმე საწყალი ქართული წიგნის გამოგზავნას თქვენ შკოლაში, უ. სტრელეცკის განკარგულებით, თქვენ დაუჯერებიხართ, რომ იგი (ე. ი. სტრელეცკი) არის ნამდვილი პედაღოღი, რომელსაც კარგათ ესმის სარგებლობა და საჭიროება სამშობლო ენის სწავლისა სახალხო შკოლაში.“

მე ჯერ ეს მაკვირვებს—რათა თქვენ, წინადადების—ქართული წიგნების გამოგზავნას უმატებთ სიტყვას „საწყალი“?—ნუ თუ ქართული წიგნების გაგზავნა ჩვენ შკოლებში არაფერი საქმეა? ნუ თუ ოცი სხვა და სხვა გვარი ქართული წიგნების გაგზავნა სახალხო შკოლაში სისაწყლეა? ნუ თუ ეს დაცინვაა? ნუ თუ ჩვენი შკოლები სავსეა იმ გვარი წყაროებით, საიდამაც ისინი ყოველთვის იესებიან ყოველგვარი ქართული წიგნებით და სხვა სახელმძღვანელოებით? ნუ თუ ჩვენი ქვეყანა ჯერ კიდევ საესე არ არის იმ გვარი პირებით, რომელნიც აკლებენ ჩვენ შკოლებს ერთათ-ერთ უსაჭიროეს ქართულ წიგნსაც—ანბანსა? ანუ იქნება, თქვენ უმატებთ სიტყვას „საწყალი“, რადგანაც ბოგებაშვილის ანბანი, სურამის ციხე, ბაგრატ დიდი, არსენას ლექსი, მალეაჭიანი, ალექსიანი, ბერიკაკი, ივანეს საუბარი და სხვა იმდენჯერ არაფერი წიგნებია, იმდენათ საჭირონი არ არიან ჩვენი შკოლებისათვის? — არა მგონია.

რომ უ. სტრელეცკის განკარგულებით ქართული წიგნების გამოგზავნა ჩვენ შკოლაში არ არის უდიერი დაცინვა, ცხადათ სჩანს მთელი ჩვენი შკოლის წესიდამ და მიმართულებიდამ:

პირველ წელიწადს სწავლა მიდიოდა სრულებით ქართულ ენაზე; მეორე წელიწადს ქართულ ენაზე სწავლას მოემატა მხოლოდ რუსული ლაპარაკის სწავლა (რომელიც მე მიმყანდა თვით ჩემგან შედგენილი სურათებით და რომლის სახელებს მე აქ მოვიყვან მხოლოდ ცნობის მოყვარეობებისათვის: —პირველი სურათი კლასი. მეორე—შკოლა. მესამე—ხილის ბაღი და ბოსტანი. მეოთხე—სოფელი. მეხუთე—გლეხის სახლი და ეზო. მეექვსე—შინაგანი გლეხის სახლისა. მეშვიდე—ბაზარი. მერვე—შინაური ცხოველები და ფრინველები. მეცხრე—გარეული ცხოველები და ფრინველები, და მეათე—ზღვა.)

და მხოლოდ ეხლა მესამე წელიწადს, როდესაც ყმაწვილები კარგათ გაიცნენ სამშობლო ენაზე სწავლით, როდესაც მათ შეისწავლეს არითმეტიკა ორ-მოც-და-ათ რიცხვამდის (აგრე მცირედის შეჭსწავლა არითმეტიკიდამ იჩით აიღსნება, რომ ინგილოები ცოტათი სხვანაირათ ლაპარაკობენ ქართულ ენაზე), როდესაც მათ კარგათ შეისწავლეს ანუ ენების ისევ ზეპირად გადმოცემა, და უკანასკნელათ, როდესაც ყმაწვილებმა შეისწავლეს ჩვეულებრივი რუსული ბავშური ლაპარაკი, მხოლოდ მაშინ, ე. ი. ეხლა ამ მესამე წელიწადს დავიწყეთ სწავლა რუსულ ენაზე—კითხვა წერა (ისრე როგორც ყმაწვილები ბაიყუშებისავით ალარ კითხულობენ) და სხვა.

მაგრამ ქართული ენა მაინც არ არის დავიწყებული, ამისი გაკვეთილებიც არის ყოველ დღე. რასაკვირველია, ეგრე საქმე მე მიმყავს არა მარტო ჩემი ნებით, არამედ ინსპექტორთან მოლაპარაკებით და მისი თანხმობით.

მაგრამ, როგორც სჩანს, უ. სტრელეცკი მე ნებას მაძლევს ვასწავლო ქართულ ენაზე და ხელსაც მიმართავს ამ საქმეში, სხვას კი სრულებით არ უმართავს ხელს. რითი აეღსნათ ეს?—იმით, რომ ის წინააღმდეგია ქართულ ენაზე სწავლისა? თუ ეს მართალია, რათა ის მე არ

მიშლის ქართულ ენაზე სწაელას და საკვირველი ის არის—რათა ის მიგზავნის ყოველ-გვარ წიგნებს, რომელსაც მე ვსთხოვ და რომელნიც ჩემი ფიქრით ძლიერ საჭირონი არიან? აქ უთუოთ სხვა რამ არის.

მე ნამდვილათ ვიცი, რომ ზოგიერთი მასწაელებელნი პირ-და-პირ ეუბნებიან ინსპექტორებს, რომ ჩვენ ქართულ ენაზე სწაელა არ შეგვიძლიანო და სხვა, და ამიტომაც ესენიც (ინსპექტორები) ხელ-დაკრეფილები შეჰსცქერიან მათ და რევიზიის დროს თხოულობენ მასწაელებლისგან მხოლოდ რუსულ ენაზე სწაელას.

რასაკვირველია, ეგრე მასწაელებლის მიზეზით სამშობლო ენაზე სწაელის უარის ყოფა და ინსპექტორის მხრით გულ-გრილათ მისი უარის ყოფის შიღება, ძლიერ სამწუხარო მოვლინებაა, მაგრამ რა...

ამით მე მინდა გამოვიყვანო ის დასკვნა, რომ დღევანდელ ჩვენი სამშობლოს მდგომარეობაში, ჩვენზე, ჩვენ მასწაელებლებზე ჰკიდია ჩვენი შკოლების ბედი, მათი ან დახშობა, ან აღდგენა! ჩვენ ყოველი ღონისძიებით უნდა ვცდილობდეთ უჩვენოთ ჩვენ დიდებს, რომ აგრე და არა იგრე საქმის წყვანით, ისინი ეფრო ადვილათ მიაღწევენ თავიანთ მიზანს, ე. ი. რუსული ენის კარგათ შეჰსწაელას.

თუ ჩვენ ეს ყოველიფერი უჩვენეთ და მართლაც საქმითაც დაუმტკიცეთ, მაშინ დარწმუნებულნი უნდა ვიყვნეთ, რომ ქართულ ენაზე სწაელა ჩვენ შკოლებში დაიჭერს არა-უკანასკნელ ადგილს. მორემ რასა ჰგავს ჩვენ ზოგიერთი მასწაველებლების ყოფა-ქცევა? ერთი ამბობს—მე არითმეტიკა ქართულათ არ ვიცი, მეორე ამბობს—მე ეს არ ვიცი, მესამე იმასაც იძახის, რომ მე ქართული წერა-კითხვა არ ვიცი და სხვა. მაენი ასწაელიან როგორმე ქართულ წერა-კითხვას თუ არა, მაშინვე შეუდგებიან რუსულ ენაზე სწაელას, კითხვა-წერის, არითმეტიკას, სამღვთო წერილს და სხვ., (და არა მხოლოდ რუსული ლაპარაკის ჰსწაელას), რადგანაც ამ ენაზე სწაელა მათ უფრო ემარჯვებათ, უფრო მეტი სახსარი აქვთ და უფრო ნაკლებ შრომას მოითხოვს (თუმცა აგრე არ არის!)

მეტყობა, ჩვენ შკოლებს ჰყავს სხვა უფრო მძლავრი მტერი—„არა პედაგოგიურათ მასწაველებლების მომზადება“; თორემ რა არის ერთი კაცი მთელი შეერთებული მასწაველებლების მიმართულებასთან!?

აქვე არ შემიძლიან რამოდენიმე სიტყვა არა ვთქვა ჩვენ ქართულ წიგნებზედ, რადგანაც ამაებზედაც რამე იყო ნათქვამი.

ბევრნი ჩვენგანი ბოგებაშვილის ანბანს, სურამის ციხეს, დიდ-ბაგრატს, არსენას ლექსს, ივანეს საუბარს და სხვ. იცნობენ მშვენიერ წიგნებათ და მაშასადამე სასარგებლოთ ხდიან მათ წაკითხვას ყმაწვილების მხრით; და ალექსიანს, ბერიკაცს და სხვა ამ გვარ წიგნებს კი იცნობენ მაენებელ წიგნებათ და მაშასადამე ენებათ ხდიან მათ წაკითხვას ყმაწვილების მხრით. ეს, რასაკვირველია, მართალია, მაგრამ არა ყოველი გარემოებაში. აქ საქმე იმაზედ ჰკიდია, თუ ვის, რომელი მასწაველებლის ხელში ჩავარდებიან ეს უკანასკნელი წიგნები. თუ მასწაველებელი მასწაველებელი კი არა, მოღალატე მოჯამაგირეა, როგორც უფ. ა. ო. ამბობს, თუ ამასთან მას არ ესმის თავისი დანიშნულება და თავისი საქმე, მაშინ, რასაკვირველია, რომ ალექსიანები, ბერიკაცები და სხვ. სწორეთ რომ საშინელათ მაენებელნი არიან. მაგრამ თუ იგივე წიგნები შთაევარდნენ მასწაველებელის ხელში, რომელსაც კარგათ ესმის თავისი საქმე და დანიშნულება, მაშინ ისინი შეიქმნებიან დიახ სასარგებლონი, და აი რათა:

ჩვენს ხალხში ძლიერ გამჯდარია სწორეთ ის ჰაზრები, რა ჰაზრებიც გამოხატულია ალექსიანში. მასწაველებლის ვალია ძირიანად ამოგლიჯოს ეს მაენებელი და არა სწორი შეხედულობა ადამიანის ცხოვრებაზე; მასწაველებლის ვალია, ცხადათ უჩვენოს თავის მოწაფეებს, რომ ამ გვარი კაცის ცხოვრება არაფრად არა ღირს, რადგანაც ამ გვარი ცხოვრება ქვეყნისთვის გამოუსადეგია, რადგანაც იმას არც ერთი სულიერისათვის არ მოაქვს არავითარი სარგებლობა; მასწაველებლების ვალია, ცხადათ უჩვენოს თავის მოწაფეებს, რომ კაცი შეჰქმნილია არა მარტო თავის თავისათვის და თავის სულისათვის, არამედ მთელი ქვეყნისათვის, რომ კაცმა უნდა იცხოვროს კაცებს შუა, და არა ხეებს, მთებს შუა, რომ მან ყოველი თავისი მოქმედებით, ყოველი თავისი სიტყვებით, ცხოვრებით უნდა დაუმტკიცოს მის გარშემო მცხოვრებლებს თავისი კაცობა, თავისი წმინდანობა; მასწაველებლის ვალია, შთაუნერგოს ყმაწვილებს, რომ ჩვენი რჯულიც თხოულობს კაცისაგან სწორეთ ამ გვარ ცხოვრებას და სხვა...

რასაკვირველია, ყოველივე ამაების შთანერგვა შეიძლება ათასნაირი გზით, მაგრამ—ნუ თუ როდესაც ჩვენ ვიცით, რომ ქვეყანაზე არსებობენ რალაცა ალექსიანები, ბერიკაცები, რომლებიც შეიძლება, რომ როდისმე ყმაწვილებს შთაუვარდნენ ხელში და წაიკითხონ, არ უნდა დავასწროთ და მოვარიდოთ იმ ჰაზრებსაც?

ამას გარდა, რატომ ერთ სახსართაგან ზემოთქმული ჰაზრების შთანერგვისათვის, არ აეიღოთ თვითონ ეს წიგნები?—მასწაველებელი იღებს, ვსთქვათ, ალექსიანს, იწვევს ყმაწვილებს ან თავის ოთახში, ან სადმე გარეთ ხეს ქვეშ მწვანეზე და უკითხავს მათ ამ წიგნსა. კითხვის დროს ის დგება ყველა იმ წიგნის ჰაზრებზე, რომელნიც მისი ფიქრით საჭირონი არიან კარგათ გაირკვიოს და აუღსნას ყმაწვილებს, ამა და ამ ჰაზრის შეცდომა, არა ჭეშმარიტება და მის მაგიერათ სხვა-და-სხვა კითხვებით მიიყვანოს ყმაწვილები ჭეშმარიტ ჰაზრზე. რასაკვირველია, ამ გვარად წიგნის ხმარება მოსთხოვს მასწაველებელს წინათვე მომზადებას.

აგრეთვე ბერი-კაცის კითხვის დროს მასწაველებელი მიაქცევს ყმაწვილების ყურადღებას ბერი-კაცზე, მის ყოფა-ქცევაზე, ცხოვრებაზე, შვილების აღზდაზე და სხვა, და ისევ სხვა-და-სხვა კითხვებით დაუმტკიცებს ყმაწვილებს ერთი ჰაზრის ჭეშმარიტებას და მეორესი კი სიცრუეს.

ამ გვარად ამ წიგნების ხმარებას იმას გარდა, რომ მასწაველებელს შემთხვევას აძლევენ შთაუნერგოს ყმაწვილებს ჭეშმარიტი ჰაზრები, ცნობანი, მოაქვს ის სარგებლობაც, რომ აჩვევენ ბავშვებს გარკვევით და გარჩევით წიგნების კითხვას. რასაკვირველია, მასწაველებელმა იმის შემდეგ, რაც თვითონ წაუკითხა და აუღსნა, უნდა მიჰსცეს ეს წიგნები თვითონ იმათაც ხელში წასაკითხავათ. მასწაველებელი კი შემთხვევის დროს, ესთქვათ სეირნობის დროს მინდორ-ტყეში, მთაში, აგონებს ამ წიგნებში გამოთქმულ ჰაზრებს და კარგათაც გაარჩევინებს. რომ ამ გვარად ამა წიგნების ხმარება შესაძლებელია და ამასთან ძლიერ სასარგებლო, მგონია ყველა დამეთანხმება.

პანის შკოლის მასწავლ. ი. როსტომაშვილი

25 ოქტომბერს

## კავკასიის საბებიო ინსტიტუტი

მშობიარე ქალები მიიღებიან ყოველთვის დღე და ღამე, ფასი დღეში 50 კაპ., ღარიბები უფასოთ მიიღებიან.

ცალკე ოთახების ქირა თვეში 30—50 მანეთამდის არის.

მიღება ავათმყოფი ქალებისა და ყმაწვილების.

ქალის ავათმყოფობისთვის:

ყოველ დღე, კვირას გარდა, 10 საათიდამ 11-მდინ—დოქტორი ანანოვი.

ოთხშაბათობითა და შაბათობით 12 საათიდამ 1-მდინ—დოქტორი რემერტი.

სამშაბათობითა და შაბათობით 11-დამ 12-მდინ—დოქტორი ალბანუსი.

საყმაწვილო ავათმყოფობისთვის:

ხუთშაბათობით 11 საათიდამ 12-მდინ და კვირაობით 10-დამ 11-მდი—დოქტორი შაკოვი.

შაბათობით 12 საათზე რჩევაა დოქტორებისა: რემერტის, ალბანუსის და ანანოვის.

ინსტიტუტთან ახლად გაიხსნა განყოფილება, რომელშიაც საქალებო ავათმყოფობას არჩენენ. ამ განყოფილების საზოგადო ოთახში ავათმყოფთა უნდა აძლიონ დღეში—50 კაპ., ცალკე ოთახებში კი დღეში—1 მან.

## თფილისის სამკურნალო

(4 აპრილის სახსოვრად)

ერევნის მაედანზე, ჩიტახოვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 8 საათიდამ დილიხვე 10 საათამდინ.

ორშაბათს: ექიმი მინკევიჩი—ხირურგიულ ავათმყოფობისათვის, ბარალევიჩი და ლისიცევი—შინაგანი ავათმყოფობისათვის.

სამშაბათს: ვერმიშევი და მარკაროვი—შინაგანი ავათმყოფობისათვის, შავშაშევი—თვალის ექიმი.

ოთხშაბათს: ლისიცევი—შინაგანი ავათმყოფ., ჭიუჩარიანცი—ვენერიული ავათმყოფობისათვის.

ხუთშაბათს: ვერმიშევი შინაგან ავათმყოფობისათვის.

პარასკევს: ლისიცევი და ასატუროვი—შინაგანი ავათმყოფობისათვის და მინკევიჩი—ხირურგიულისთვის.

შაბათს: ვერმიშევი და მარკაროვი—შინაგანი ავათმყოფი. ჭიუჩარიანცი—ყურისა და ხირურგიულ ავათმყოფობისათვის და თამამშევი—თვალის ავათმყოფობისა.

# განცხადებანი

თფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის გირაოს ფურცლების ნომრები, რომელნიც 1-ს ნოემბერს 1876 წ. ამოვიდნენ მესამე ტირაჟში:

I სერიისა.

18 წლ. და 7 თვის ვადისანი:
ასი (100) მან. ღირსებისა: №№ 40, 45, 49, 109, 111 და 120.

II სერიისა.

18 წლ. და 7 თვის ვადისანი:
ასი (100) მან. ღირს: № 4

27 წლ. და 6-ს თვის ვადისანი:
ათასის (1,000) მან. ღირს № 151
ხუთასი (500) მან. №№ 102 და 121
ასი (100) მან. „ №№ 46, 92, 156, 185 და 199

54 წლ. და 6-ს თვის ვადისანი:
ასი (100) მან. ღირს: № 30

III სერიისა

27 წლ. და 6-ს თვის ვადისანი:
ათასი (1,000) მან. ღირს: № 81
ხუთასი (500) „ „ „ „ „ 12
ასი (100) „ „ „ „ 24, 50, 180 და 187

54 წლ. და 6-ს თვის ვადისანი:
ასი (100) მან. ღირს: №№ 9 30, 34 და 44

IV სერიისა

27 წლ. და 6-ს თვის ვადისანი:
ხუთასი (500) მან. ღირს № 56

თფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის მმართველობა უმაღლესად დამტკიცებულის წესდების § 16 აცხადებს, რომ ამ წლის 29 ნოემბერს (გიორგობისთვეს), 12 საათიდამ ვიდრე ორს საათამდე დღისით, ქალაქს თფილისში თვით ბანკის გამგეობაში მოხდება საყოველთაო გასყიდვა გირაოთ მიღებულის ნატალია ივანეს ასულის ზემიანსკის უძრავი მამულისა, რადგან მას ამ წლის მეორე ნახევრის ხვედრი გარდასახადი ბანკისა წესდების §§ 29 და 30 თანახმათ, ჯერაც არ შემოუტანია.

ეს მამული მდებარებს ქ. თფილისში, მეორე განყოფილებაში, 10 უჩასტკაში, ნემენცების კალონიაში სადღეობის ქუჩაზე და შეიცავს ერთს ეტაჟა ქვითკირის სახლს, თავის ეზოთი, რომლის სიერცე ხუთასს თერამეტი (518) ოთხ-კუთხა (კვადრატული) საჟენია.

აღნიშნული მამული გაისყიდება

ერცლათ ერთიანათ და ვაჭრობა დაიწყება თანახმად წესდების § 19 ვალის იმ რიცხვიდამ, რომელიც ძაზედ ამ ჟამათ ირიცხება, ე. ი. 5,636 მან. და 92 კაპ., რომელშიაც ირიცხება: ვალი ბანკისა, რომელიც სესხისაგან კიდევ დარჩენილია, მამულის გასყიდვის თარიღზე განცხადეების ხარჯი, ცეცხლისაგან საზღვევო საზოგადოების ფული და ჯარიმა ვადაზე ფულის შემოუტანლობისა გამო.

ბანკის მამგეობას აქვე პატივი აქვს დაურთოს, რომ თვით ნომინალური ვალი, რომელიც ამ მამულზე ირიცხება და 5317 მან. და 79 კოპ. შეიცავს, შეიძლება მოვალემ გარდაიხადოს ამავე ბანკის გირაოს ფურცლების შემოტანით მანეთით მანეთზე მათ ნომინალურ ღირსებობაზე; აგრეთვე შეიძლება ეს ვალი გარდატანილ იქმნეს ბანკის თანხმობით ბყიდველზე, რომელიც კი ვალდებულათ ხდის თავის თავს პასუხი აგოს ნაღდის ფულით ყველა იმ ვალებზე, რომელნიც ნომინალურ ვალის გარდა აღნიშნულ მამულზე ირიცხებიან.

თუმცა ეს მამული ამ წლის 29 ნოემბერს არ გაისყიდა, მაშინ იმავე ბანკის წესდების § 22 ძალით დაინიშნება მეორე და უკანასკნელი ვადა გასყიდვისა ამ წლის 29 დეკემბერს (ქრისტეშობის თვეს).

(3—2)

---

ნიკოლაოზ დიმიტრის ძე

## ყიფიანი

ამ ჟამად ქ. ჭუთაისში დაბინავებული, მიიღებს თფილისის სამოსამართლო პალატისა და ჭუთაისის ოლქის სასამართლოს მოწმობაების ძალით და აწარმოებს სამოქალაქოსა, სისხლის სამართლის და სამიწნავო საქმეებსა როგორათაც ხსენებულს სასამართლოებში, აგრეთვე მომრიგებელ მოსამართლეებთან ჭუთაისის გუბერნიისა, რისთვისაც თანახმა არის თფილისში და ჭუთაისის გუბერნიის უეზდებში მისვლა-მოსვლაზედ საქმეების დასაცველად.

აგრეთვე მიიღებს მსვლელობას ჭუთაისის საადგილ-მამულო ბანკში ბაღულების დასაგირავებლად.

მიიღებს მოდაველებს დღითი 11 საათამდინ, საღამოზედ 5 საათიდან 8 საათამდინ.

ქ. ჭუთაისს, თფილისის ქუჩაზედ, ჭუთოშვილის სახლებში, პოროგი-მხაზიის პირ-და-პირ. (5—2)

---

გ მოვიდა ბიჭვიდამ შემოკლებული მხედრული ლოცვანი გამოცემული ბღვდლის დ. ღამბაშიძისაგან და ისყიდება თბილისში: ვართანოზის წიგნის მაღაზიაში ჭუთაისში: სიმონ ჩოჩახიძის ტიპოგრაფიაში და დ. უვირილაში თვითე გამომცემლის მღ. დ. ღამბაშიძესთან.

ლოცვანის შინაარსია:

ა) დილის ლოცვანი,
ბ). საყოველდღეო ლოცვანი,
გ). ლოცვა ძილად მისვლისა,
დ). ლოცვანი და კეთილნი გულის.
ე). ზრახვანი მოსმენის დროს წირვისა.
ვ). მცირე სერობა,
ზ). პარაკლისი ღვთის მშობლისა,
ე). სრული თევთა მეტყველება და
თ). მოკლე ხელთა ჩმ წლამდე.

ფასი ყველგან ერთი აბაზი

---

## წალკოტი

თქმული

დავით გივიშვილისაგან

ისყიდება სხვა და სხვა წიგნის მაღაზიებში.

---

## LA VELOUTINE

(ველუტინი)

ერთნაირი ბრინჯის პუდრი (უმარილი), ბისმუტით გაკეთებული.

ი ეთი ზედმოქმედება აქვს ადამიანის ხორცის კანზე, რომ ალბობს და ახალგაზდა ადამიანის კანს დაამსგავსებს.

კანს ეკერება და არა სჩანს.

შ. ფაი — გამომგონი

## pommade satin

(ატლასის პომადა)

ხელების კანის რბილად შესანახავად; ზამთარში არ დაუკდება ხელის კანი, ვინც ამ პომადას ხმარობს.

9, Rue de la Paix, Paris

156—75

---





ამისი პირი, ქალი და კაცი თავისის მშვენიერის თმის ქონებით ვალდებულია მხოლოთ სამხელეარ გარეთ ევროპაში შემოტანილ ისრეთ წოდებულ მცენარეულგით ქინინ-გლიცერინის პომადისა, რომელსაც თმა ამოჰყავს. ეს პომადა უცდია გევრს გამოჩენილ ექიმობის მცოდნეს და რეკომენდაციის წიგნი აქვს ქიმიის პროფესორისა ლანდგერტთან დანიშნულისა, ვენაში, უ. ქლეიჩინსკისა და ნებართვა აქვს მოსკოვის საექიმო მთავრობისა; საკვირველს და წარჩინებული წარმატება ჰქონია და უკანასკნელ დროს მოსკოვს საექიმო მთავრობამ განიხილა და ჰპოვა კარგი თვისება ამისი.

წესიერათ იმის ხმარებაზე მომატებულათ მოსელებილი თავიც კი მალე თმით იმოსება. საკვირველათ თავის კეფას უმავრებს, სრულებით კანის ყოველ გვარ ქერქოშს აშორებს, თმას ამაგრებს, მცირე ხანში ბუნებითი სიბრწყინვალეს აძლევს და მეტის-მეტ მშვენიერის სუნით, რომელიც იმისი ძვირფასი კუთვნილებაა, რასაკვირველია, პირველის ტურფა ტუალეტის დამამშვენებელია.

ყველა ეს თვისებანი ჩემის ნაწარმოებისა მაძლევს სრულს სიმართლეს იმედი ვიქონიო, რომ რუსეთში ძალიან გასაყვალი ექნება უპატივცემულესის პუბლიკის სასარგებლოდ.

ფასი ბანკისა 2 მანეთი

ყოველ ბანკთან არის დარიგება—თუ როგორ უნდა იხმარონ ეს პომადა

პომადა
„PASTA EUGENIE“

ამ პომადის გამამგონის აქვს პატივი განუცხადოს საზოგადოებას, Pasta Eugenie ისყიდება თფილისში ლანკოს მუსიკალურ მაღაზიაში, სასახლის ქუჩაზე, არწრუნის ქარვასლაში, ვლადიკავკაზში — სიგალთან და სტავროპოლში კურილჩენკოსთან, სადაც ისყიდება სხვა აქ მოყვანილი ნივთებიცა.

ეს პომადა „Pasta“ იმითია შესანიშნავი, რომ ცოტახნის ხმარების შემდეგ, ლაქები, ჭორფლი, ქერქები და სიცხისაგან სახეზე მოდებულ სიშავე სრულად იკარგება და მსწრაფლადაც. პირის სახე იწმინდება და ახალგაზდა ადამინის სიცხოველე ეძლევა. უველაზე უფრო ეს პომადა იმათთვინ არის საჭირო, ვისაც სუფთა და თეთრი პისისახე ჰსურთ, რომ ჰქონდეთ. მყიდველებისათვის გარანტი, არის ვენის ქიმიის პროფესორი ძლეჩინსკი და მოსკოვის საექიმო მთავრობის მოწმობა.

ფასი ერთი ბანკის 1 მან. და 60 კაპ.

ბანკთან არის დარიგება—თუ როგორ უნდა იხმარებოდეს.

უველა პომადის ბანკას, როგორც თმისთვის აგრეთვე „Pasta“-ს აქვს თავის დალი, ამშურის სურათით და გამამგონის ხელის



P. S. პომადა „Pasta“ გამოსადეგია აგრეთვე იმათთვის, ვისაც ხორცის კანის ავათმყოფობა არა აქვს, მაგრამ ჰსურს, რომ წმინდა



ხორცის კანი ჰქონდეს სახეზე. ხელებზე და უველზე. BERTHAE RIES.

ხელის პომადა

ეს პომადა ისეა შედგენილი, რომ იმის ხმარების შემდეგ, ხელის კანი განსაკვირველად რბილდება, თეთრდება და მხოლოთ ღრძა მოხუცებულებაში ჰკარგავს ამ თვისებებს.

ერთი ბანკის ფასი 1 მან. და 30 კაპ.

თმის საღებავი—ათი მინუტის განმავლობაში ღებავს და ექვს კვირას სძლებს. ფასი სამი მანეთი.

ტყავის გალზამი—საშუალება მაზოლისათვის. ფასი 60 კაპ. 54—37

---

| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . | 9 | 36 | 4 | 54 | | | | |
| მცხეთა . . | — | — | — | — | 68 | | 3 | |
| ბორი . . | 12 | 21 | 8 | 41 | 2 | 40 | 1 | 23 |
| ხაშური . . | 2 | — | 11 | 10 | 3 | 92 | 2 | 18 |
| ბეკათუბანი | — | — | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა . | — | — | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| ჭუთაისი . | 8 | 23 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია . | — | — | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახ.-სენაკი . | — | — | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი . . | 11 | 44 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . | 8 | 40 | | | | | | |
| ახ.-სენაკი . | — | — | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია . | — | — | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| ჭუთაისი . | 11 | 51 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა . | — | — | | | 3 | 98 | 2 | 21 |
| ბეკათუბანი | — | — | ღამე | | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური . . | 5 | 41 | 1 | 6 | 5 | 84 | 3 | 24 |
| ბორი . . | 7 | 23 | 3 | 6 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . . | — | — | | | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი . | 10 | 16 | 7 | 24 | 9 | 75 | 5 | 42 |

### ცეცხლის გემები

ა) ფოთიდამ მიდის:
ოდესისკენ — შაბათს დილის 8 საათ.
ატამბოლს — კვირაობით, დილას.

ბ) ოდესსიდამ:
ფოთისკენ — ორშაბ. ნახად. 3 საათ.
ატამბოლს — ოთხშაბათს, შუადღეზე

| ფოთიდამ: | I | II | III |
|---|---|---|---|
| სოხუმამდი . | 4 „ | 3 „ | 1 „ |
| ქერჩამდი . | 20 50 | 15 50 | 5 „ |
| ტაგანროგ. | 34 „ | 27 „ | 8 60 |
| ოდესსამდი. | 38 „ | 30 „ | 9 60 |

### ტელეგრაფი

| | მ. | კაპ |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| ჭუთაისს, ფოთს . . | 1 | — |
| ბორს, ღუშეთს, სიღნახს | | 50 |
| როსტოვს ოდესას მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში. | 3 | 50 |
| ინგლისში. . . . . | 3 | 75 |

### ფოშტა

ა) თფილისიდამ:
სამზღვარ გარეთ, ჭუთაისს, რუსეთს —უველ დღე კვირას გარდა. ზუგდიდს, ოთხშ., ოზურგეთს — პარასკ და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაბ. და შაბ. ქახეთს — სამშ. და შაბ.

ბ) ჭუთაისიდამ:
თფილისისა და ფოთისკენ — უველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს — ორშ. და პარასკ. ზუგდიდს — ოთხშაბ.

გ) ბორიდამ.
უველგან უველ დღე, კვირას გარდა.

დ) ფოთიდამ:
უველგან უველ დღე, კვირას გარდა.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და საზღვარ გარეთ: | კაპ |
|---|---|
| ლია წიგნის . . . . . | 4 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) . | 8 |

### ბირჟა

| | მან. | კაპ |
|---|---|---|
| პეტერბურგი, 2 ნოემბ. | | |
| ერთი მანეთი ლირს: | | |
| ლონდონში 3½ პენსი. | — | 84 |
| პარიჟში 317½ სანტიმი. | — | 89 |
| მსკონტი (სარგებლისფასი) | 6 | — |
| ბანკის ბილეთი 5% | 96 | 40 |
| მოგებიანი (პირველისესხი) | 174 | 50 |
| მოგებიანი (მეორე სესხი) | 172 | 50 |
| ბირაოს ფურცლები: | | |
| თფილ. საზნ. ბანკისა. | — | — |
| ხერსონის ბანკის (5½) | 81 | 25 |
| მოსკოვის (5%). . . . | 86 | 25 |
| აქციები: | | |
| ოდესის სავაჭრო ბანკის | 165 | — |
| ფოთი-თფილ.რკინ. გზის | — | — |
| შავიზღვის ცეცხ. გემების | 500 | — |
| ყავკაზის და მერკურიის. . | 199 | — |
| პირვ. საზღვევ. საზოგ. | 725 | 50 |
| პეტერბ. საზღვევ. საზ. | 242 | 50 |
| მოსკოვის საზღვევ. საზ | 271 | — |

### მაზანდა

| | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი, 4 ნოემბ. | | |
| პური შორაგალის ფთ. | 1 | — |
| ქერი ფუთი. . . . | — | 65 |
| ბამბა პრევნისა, ფუთი . | 5 | 20 |
| — ამერიკისა, ფუთი. . | 5 | 60 |
| გაპენტილი ბამბა ფთ. | 8 | — |
| მატყლი თუშური ფთ . | 6 | — |
| — მარაქამისა ფთ. . | 4 | 60 |
| აბრეშუმი ნახური გრ. | 2 | 60 |
| ჭონი, ფუთი. . . | 4 | — |
| ჭინის საბთელი ფუთი. | 5 | 60 |
| სტეარინის საბთელი, ფ. | 10 | 30 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 45 |
| — ცხვრისა, ლიტრა. . | — | 50 |
| სპირტი, ვედრო. . . | 6 | 20 |
| შაქარი, ბროც. ფუთი . | 6 | 25 |
| — ფხვნილი ფუთი . . | 5 | 90 |
| ყავა გრგვალი ფუთი . | 18 | — |
| ზეთი ქუნჟუთისა ფთ. | 6 | 20 |
| ოქრო ½ იმპერიალი. . | 6 | 52 |

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 5 Ноября 1876 г. Типографія Меликова и К°.* გამომცემელი ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი.